


**3** ინამდებარე წიგნი ბავშვებისთვისაა გამიზნული.  
მისი მიზანია, თქვენ შეისწავლოთ და ჩაწვდეთ  
ადამიანის ბუნებაში არსებულ სიმშვენიერებს. წიგნის  
მოცულობა მცირეა, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენი ცო-  
დნის, გრძნობებისა და ახროვნების ჩამოყალიბებაში მნ-  
იმვნელოვან წვლილს შეიტანს. ამ წიგნში თქვენ იპო-  
ვით სასარგებლო ცნობებს, რომელთა შესწავლასაც  
რწმენა მოითხოვს და რომლითაც ღმერთის სახელით  
მონიჭებულ შვებას, ღმერთიან მიახლოების ძალას იგ-  
რძნობთ. სიტყვისა და ქცევის ერთიანობის ყველაზე კა-  
რგი მოდელის, ოჯახისა და სახოგადოებრივი ცხოვრ-  
ების საყრდენის - ზნეობის პრინციპებს ჩაწვდებით და  
თქვენი ცნობისმოყვარეობისათვის დამახასიათებელ სხვა  
კითხვებსაც გასცემთ პასუხს. გვჯერა, რომ კითხვისას  
ჩაუფიქრდებით და შეიმეცნებთ, თუ რის გაკეთვბას  
მოითხოვს ჩვენგან ღმერთი და ისე მოიქცევით,  
როგორც ღმერთს მოეწონება, მის მიერ აკრძალულის  
გაკეთებას მოერიდებით.

ჩვენი თხოვნაა, თქვენ მხოლოდ სიკეთის კეთება  
გაგიხარდეთ და ბოროტებას გზა შეუმოკლოთ, ადამი-  
ანის გული ისეთი ფაქტი უნდა იყოს, რომ ჭიანჭველ-  
ასაც კი მოერიდოს. ცხოვრებაში უპირატესობა მხოლ-  
ოდ სიკეთეს მიანიჭოთ - ესაა ჩვენი პასუხსიმგებლობა  
და თქვენც ღმერთის წინაშე ამ პასუხსიმგებლობით უნ-  
და იყოთ. თქვენი გვჯერა და დიდ იმედებსაც ვამყარ-  
ებთ თქვენზე.



# ჩემს სარმაჟოებას ვსწავლობ



დიანონის საკეთა სახარულოს გამოცემა





# ჩემს სარმაჟონებას ვსწავლობ



დიაგენერაციული საქართველოს სამოსებრო გამომღერა

## წინასიტყვაობა

საყვარელო ბაჟშვები!

ჩვენი გულები თქვენდამი, სიყვარულით ფეთქავს. ეს წიგნი ამ სიყვარულს გამოხატავს და მათოვისაა განკუთხნილი, ვინც სწავლის ათვისების საუკეთესო ხანძში დაუზარელია.

ისლამი აღმაშებს და აკეთილშობილებს ჩვენს სულს. ალლაჰს სიყვარულისა და კეთილი ზნების შეტენა სწავლითაა შესაძლებელი. მხოლოდ მაშინ ვიქებით ღმერთის რჩეულნი. წინამდებარე წიგნი ბავშვებისთვისაა გამიზნული. მისი მიზანია, ოქვენ შეისწავლოთ და ჩაწვდეთ ადამიანის ბუნებაში არსებულ სიმშევიერეს. წიგნის მოცულობა მცირეა, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენი ცოდნის, გრძნობებისა და აზროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. ამ წიგნში თქვენ იპოვით სასარგებლო ცნობებს, რომელთა შესწავლასაც რწმენა. მოითხოვს და რომლითაც ღმერთის სახელით მონიშებულ შვებას, ღმერთის მიხლოების ძალას იგრძნობთ. სიტყვისა და ქცევის ერთიანობის ყველაზე კარგი მოდელის, ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საყრდენის - ზნეობის პრინციპებს ჩაწვდებით და თქვენი ცნობისმყვარეობისათვის დამახასიათებელ სხვა კითხვებსაც გასცემთ პასუხს. გვჯერა, რომ კითხვისას ჩაუფიქრდებით და შეიძენებთ, თუ რის გაკეთვის მოითხოვს ჩვენგან ღმერთი და ისე მოიქცევით, როგორც ღმერთს მოუწონება, მის მიერ აკრძალულის გაკეთებას მოერიდებით.

ჩვენი თხოვნაა, თქვენ მხოლოდ სიკეთის გეთება გაგისარდეთ და ბოროტებას გზა შეემოკლოთ, ადამიანის გული ისეთი ფაქტი უნდა იყოს, რომ ჭიანჭველასაც კი მოერიდოს. ცხოვრებაში უპირატესობა მხოლოდ სიკეთეს მიანიჭოთ - ესაა ჩვენი პასუხისმგებლობა და თქვენც ღმერთის წინაშე ამ პასუხისმგებლობით უნდა იყოთ. თქვენი გვჯერა და დიდ იმედებსაც ვამყარებთ თქვენზე.

დიანეთის საქმეთა სამმართველო

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა: 625

საბავშვო წიგნები: 159

ტექსტების შემდგენლები:

არფასლან დურმეში

ჰატიჯე შილაკი

ილიას ასლანი

ნერიმან გოქჩევოზ კარათექინი

გრაფიკის მონტაჟი:

ედამ და მუკამმედ

ნურ ანბარლი

გრაფიკის შემსრულებლები:

აპმედ ქარათაში

ემინე ქალელი

ისმაილ ჰაყი გურბეთჩი

პედაგოგიური კონსულტანტი:

ედამი

ილუსტრაცია

თურგუთ ილმაზისა

გამომცემელი:

თურქეთის დიანეთის ფონდის

საგამომცემლო სტამბა

სავაჭრო საქმეთა

სამმართველო, ანკარა

ტელ. (0312) 354 91 31

ანკარა, ივლისი 2004

ISBN 9 75-19-3595-4

თარგმა:

შპს ”თარჯიმანმა“ ქ. ბათუმი,  
ქუთაისის ქ. №19

## სარჩევი

### რწმენა

4

#### კარი პირველი

ჩვენი გამჩენი ღმერთი: ალლაპი.....	6
<b>კარი მეორე</b>	
1. ღმერთის მბრძანებლობაში მყოფი სულიერი მოსამსახურეები – ანგელოზები.....	11
2. ღვთიური ცოდნის წყაროები: წმინდა წიგნები.....	12
3. ღმერთის გამოგზავნილი რჩეული წინამდღვრები: შუამავლები .....	13
4. ამ ქვეყნის მიღმა – საიქო ცხოვრება	15
5. ღვთისმიერი უცვლელი ზომები: ბედისწერა და განგება.....	17

### ღვთისმსახურება

#### კარი პირველი

ჩვენი ღმერთის წინაშე დღეში ხუთჯერ ლოცვა (ნამჩი).....	23
---	----

#### კარი მეორე

თავისთავის გაწვრთნა და ნებისყოფის სწავლა: მარტვა.....	28
--	----

#### კარი მესამე

1. ღმერთის ბოძებულის შეფასება და – ზექათი..... 2. სიწმინდისაკენ მგზავრობა – ჰაჯი.....	31
--	----

### ზნეობა

#### კარი პირველი

1. ისლამი ლამჩი ზნეობაა..... 2. ძვირფასი მუკამმედ შუამავალი, როგორც ზნეობის წყარო.....	38
--	----

#### კარი მეორე

ვალდებულებები თავისთავისა და ჩვენი ოჯახის წინაშე.....	42
--	----

#### კარი მესამე

მოვალეობები გარემოსა და მთელი კაცობრიობის წინაშე.....	46
--	----

# რწმენა

ჩვეს  
სართულებას  
უცხოელის



შეისწავლე, გამოიკვლე, იფიქრე

”ჰეი, მორწმუნენო!  
იწამეთ ალლაპი, მისი  
შუამავალი და წიგნი,  
რომელიც გარდმოუკლინა  
თავის შუამავალს, წიგნი,

რომელიც

გარდმოავლინა ადრე.  
ვინც უარპყოფს ალლაპს,  
მის ანგელოზებს, მის  
და წიგნებს, მის შუამავ-  
ლებს უკანაკნელ დღეს,  
უკვე ცდუნებულია

უკიდურესის ცდუნებით.

(სურა ქალები-ნისა  
აიათი: 136)

1. ამ სიტყვების მნიშვნელობები კარგად შეისწავლეთ და დაიმახსოვრეთ, ჩაიწერეთ უბის წიგნაკში და არ დაივიწყოთ: იმანი (რწმენა), მუმინი (მორწმუნე), ისლამი, მუსლიმანი, ვაპი.

2. ყოველდღიურ სასაუბრო ენაზე დაწერეთ ისეთი ანდაზები ან გამონათქვამები, რომლებშიც ქვემოთ მოცემულ სიტყვათაგან ერთ-ერთი იქნება გამოყენებული: ალლაპი, ანგელოზი, ყურანი, შუამავალი, საიქო, განკითხვის დღე (ყიამეთი). ამ სიტყვების გამოყენების მიზეზის შესახებ ამხანაგებთან ერთად იმსჯელეთ.

3. რელიგიის კულტურისა და ბავშვთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ ბევრი წიგნი იკითხეთ.

ალლაპის გაჩენილ ყველა არს-  
ებათა შორის ადამიანს განსაკუთ-  
რებული ადგილი უკავია. ამ განს-  
აკუთრებულობის მინიჭების ყველ-  
აზე ძირითადი ფაქტორი ახროვნ-  
ების უნარია. ადამიანი ჰქოვნების  
საშუალებით განახვავებს კარგსა  
და ცუდს, ლამაზსა და უშნოს,  
სწორსა და არასწორს. ადამიანის-  
ათვის დამახასიათებელია სხვადას-  
ხვა მოთხოვნები, როგორიცაა:  
ჭამა, სმა, ძილი და სხვა. თუ კი  
ესენი დააკლდება, სხეული მის  
ფუნქციებს ვერ შეასრულებს და  
ჯანსაღ არსებობას ვერ გააგრძე-  
ლებს. ასევე ვერ შეძლებს, ფიქრს, სიყვარულს, სი-  
ხარულს, მწუხარებას. მსგავსი არაფიზიოლოგიური,  
ადამიანისათვის ყველაზე საჭირო სულიერი სარჩო  
რწმენაა. მხოლოდ ამ საჭიროებათა უზრუნველყოფის  
შემდეგ მიაღწევს ადამიანი ნამდვილ ბედიურებასა  
და სიმშვიდეს. რწმენა, ეჭვის გარეშე დაჯერება და  
ნდობაა.

ადამიანი, რომელიც იწამებს, მორწმუნე (მუმინი) ჰქვია. ჩვენი სარწმუნოების, ისლამის რწმენის პრინციპები უკვის თემად შეიძლება განვიხილოთ. ესწია: ალლაჰის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, ალლაჰის შუამავლების, განკითხვის დღის, ბედისწერისა და განგების რწმენა, ყველა ესწი კი ფურანის ტექსტ ”ამ-ენთუ“-შია ჩამოთვლილი.



## კარი პირველი

### ჯილდური ქამარი:

### კულტური

”ვინც ალლაპს იწამებს, ალლაპი მის  
გულს სისწორისაკენ  
მიმართავს. ალლაპი ყველაფრის  
ლირსეულად მცოდნეა.“

(სურა თეაბუნი, აიათი 11)

”ალლაპს აქვს საუკუ-  
უთესო სახელები.  
შეეველრეთ მას  
(ალლაპს)  
მათით. (საუკუთესო  
სახელებით)“

(სურა არაფი-მალლობნი  
აიათი 180)

რწმენის საფუძვლების ცენტრს ”ალლა-  
პის რწმენა“ შეადგენს. ალლაპის რწმენა  
მის ცნობას საჭიროებს. მისი თვისებების  
შესწავლა მისი გამოგზავნილი შუამავლე-  
ბიდან და წმინდა წიგ-  
ნებიდან შეგ-  
ვიძლია. ეს  
ცნობები მი-  
სივე ლამაზ  
სახელებშია  
განთავსებუ-  
ლი, რომლე-  
ბსაც მთლია-  
ნობაში

” ე ს მ ა ი  
ხ უ ს ნ ა “  
ეწოდება



## ალლაპის თვისებები (ეპითეტები)

ალლაპი, რომელიც გვწამს და სიყვარულით მოვიხსენიებთ, ყველაზე ლამაზი და ყველაზე მაღალი თვალსებების მქონეა:

პირადი ეპითეტები	სუბუტი * ეპითეტები
გუჯული არსებობს	პაიათი ის უჟღელად ცოცხალია ილიმი
ყიდებ დასაბამი არ აქვს	ყველაფერი იცის სემი
ბეჭა უსასრულოა	ყველაფერი ესმის ბასარი
ვაპდანიეთი ერთია	ყველაფერს ხედავს ქელამი
მუპაალეფეთუნ ლილ ჰავადის გაჩენილებს არ ჰგავს	მართალ და ლამაზ სიტყვას იტყვის ირადე
ყიამ ბი წეფსიპი რაიმეზე და ვინმეზე დამოკიდებული არაა	თავისი წება-სურვილის განხორციელების ძალა შესწევს
ყუდრეთი ყველაფრის გაკეთების ძალა შესწევს	თეყვინი გააჩენს, რასაც მოისურვებს

ალლაპი ყველაზე უზენაესი და მარადიული არსებაა. მის არსებობას დასაწყისი არ აქვს და მარადიულად იარსებებს. ერთია და უმაგალითოა. არც ერთი არსება მას არ ჰგავს. ის რაიმეზე დამოკიდებული არაა, ის ყველას და ყველაფერს ესაჭიროება. სამყაროში რაც არსებობს, ყველას ნამდვილი პატრონი ისაა.

სუბუთი: \* ზოგადი ეპითეტი, ესე იგი ამ სახელის ქვეშ გაერთიანებული თვისებები ზოგადი ხასიათისაა.

ის უკვდავია, მის გარდა ყველაფერი დროებითია. მან ყველა და ყველაფერი იცის. მას არაფერი დაემალება. ჩვენში არსებული ფიქრები მთლიანად იცის. სადაც უნდა ვიყოთ, ჩვენი ყველა სიტყვა ესმის და ყველაფერს ხედავს. ყველას თხოვნა-ვედრება ესმის და მათ მოთხოვნებზე რეაგირებს. ბრძანებებსა და სურვილებს ადამიანებს შუამავლების მეშვეობით აცნობებს. რაც სურს, დამოუკიდებლად აკეთებს, მის სურვილებს წინ ვერავინ აღუდგება. ყველა სურვილს როგორც მას უნდა, ისე ისრულებს. როცა რაიმეზე იტყვის: „გაჩნდი“, მაშინვე გაჩნდება. მთელი სამყარო მან გააჩინა. ყველა მის მიერ გაჩენილი რაიმე მიზნით არსებობს და ყველაფერი ურთმანეთთანაა შერწყმული.



იფიქრეთ თქვენს გარშემო მყოფი არსებების გაჩენის მიზნის შესახებ. მათ შორის თუ არის ისეთი, რომელიც თქვენი აზრით, ტყუილადაა გაჩენილი? ამ საკითხზე ამხანაგებთან იმსჯელეთ. შეეცადეთ აღმოჩინოთ ყველა არსების გაჩენის მიზეზი.

## ალლაპის სახელით...

იმისათვის, რომ ვიწამოთ ალლაპი, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ის. სიყვარული კი მარტო სიტყვით არ გამოიხატება, არამედ საქმითა და ქცევით დადასტურებაა საჭირო. ვისაც ალლაპი სწამს, მის ბრძანებებსა და მოთხოვნებსაც უნდა ასრულებდეს. ადამიანმა, რომელმაც იცის, რომ მას ალლაპი ყოველთვის ხედავს, საკუთარი მოქმედებით ალლაპის კმაყოფილების მოსაპოვებლად უნდა იჩრუნოს. ეს კი ყოველთვის ალლაპის გახსენებითა შესაძლებელი. ადამიანისაგან ალლაპის გახსენების ერთ-ერთი ნიშანი ყველა საქმის დაწყების წინ ”ბისმილლაჰ“-ის თქმაა. ბისმილლაჰ-ის თქმა ”ბისმილლაჰირრაპმანირრაპიმ“ წინადადების თქმას ნიშნავს. მისი მნიშვნელობაა: ”მოწყალე და შემწყალებელი ალლაპი სახელით.“ ამ გამოხატულების მოკლედ გამოთქმა ”ბისმილლაჰ“ სიტყვითაც შეიძლება. მნიშვნელობა კი ერთია. ბისმილლაჰ-ის თქმით ჩვენ სამ რამეს ვაკეთებთ:

- ალლაპისადმი ჩვენს რწმენას სიტყვით ვადასტურებთ.
- ამა თუ იმ საქმისათვის ალლაპისაგან დახმარებას ვითხოვთ.
- ალლაპთან ჩვენს ყოფნას ვადასტურებთ

### ბისმილლაჰირრაპმანირრაპიმ



ალლაპის განსაკუთრებულ სახელთაგან შვიდი მათგანი დაიზეპირეთ და კვირის ყოველ დღეს ამ სიტყვათაგან ერთ-ერთის გამოყენებით მას შეევერეთ. მაგალითად, შენ ჰაფუზი (დამცავი) ხარ, ჩემო ალლაპო! ყოველგვარი ცუდისა და სიგლაზებისაგან დამიცავი.“



ქვემოთ მოცემულია ყოველდღიურ მეტყველებაში წშირად გამოყენებული აფორიზმები და გამონათქვამები. გარშემომყოფთა დახმარებით ეს სია გააფართოეთ, რატომაა ამ გამონათქვამებსა და აფორიზმებში სიტყვა

- \* ალლაპი“ წშირად გამოყენებული? ამის შესახებ ამხანაგებთან იმსჯელეთ.
- \* ალლაპმა დედიან მამიანი გაგზარდოს!
- \* ალლაპმა მოთმინების უნარი მოგცეთ!
- \* ალლაპმა საყვარელს შეგფაროთ!
- \* ალლაპმა ბარაქა მოგცეთ!
- \* თუ კი ალლაპი ერთ კარს დაგიკეტავს, მეორეს გაგიღებს!
- \* ჩიტი, რომელიც ვერ ფრინავს, ალლაპი მას დაბალ ტოტს მოუწეს!
- \* ალლაპი ამაგს არ დაგიკარგავს!
- \* ალლაპმა თუ მოგცა, უცხო მოიტანს, ნიაღვარი მოიტანს, ქარი მოიტანს!
- \* ალლაპმა სიკეთე მოგცეთ!
- \* გუარავდეთ ალლაპი!
- \* ალლაპის ნათქვამი ასრულდება!
- \* ალლაპმა სიმშვიდე მოგცეთ!
- \* ალლაპმა აცხონის!
- \* როცა ალლაპი მოყვარე გეყოლება, ხმალი ხისაც რომ იყოს, გაჭრის!
- \* ალლაპს ადამიანისათვის ერთი პირი და ორი ყური მიუცია, რათა ერთი თქვას და ორი გაიგონოსო!
- \* გეშინოდეს ალლაპის!
- \* ალლაპი ერთი, სიტყვა ერთი!
- \* ალლაპი ერთი, შუამავალი სამართლიანი, ბადაგი შავი, მაწონი თეთრი!
- \* თუ კი ალლაპი დაეხმარება თავის მონა-მსახურს, ყველაფერი რიგზე იქნება!

### ადამიანს, რომელსაც ალლაპი სწამს

- <sup>a</sup> ვისაც ალლაპი უყვარს, ის ალლაპსაც უყვარს.
- <sup>a</sup> ვინც იცის, რომ ალლაპი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის, ის მარტოობისას, ისე როგორც სხვებთან ერთად, პატიოსნად და ღირსეულად იქცევა, ერთგულია, ვინც იცის, რომ ალლაპი სამართლიანია და სიმართლის თქმა უყვარს, ის ვინმეს უსამართლოდ არ მოექცევა და არც უსამართლობის წინაშე მოიხრის ქედს.
- <sup>a</sup> ვინც იცის, რომ ალლაპს ყველა ვედრება ესმის, ის ყოველთვის ალლაპს მიენდობა და შეეკედლება, ყველანაირი სიძნელის დასაძლევად ძალა მოემატება.
- <sup>a</sup> ვინც იცის გაჩენის მიზანი - საიდან მოდის და საით მიდის, ის თავს იმედიანად გრძნობს.

## კარი მეორე

### 1. კლილუაზის მშენებელების მშობე ტელევიზიუმის მოწვევულება:

#### ანგელოზები

ალლაპის მიერ სინათლისაგან გაჩენილ და თვალით უხილავ არსებებს ანგელოზები (მელექი-მელაიქე) ჰქვია. ანგელოზები არ ჭამენ და არ სვამენ, მათ სქესობრივი მოთხოვნები არ ახასიათებთ. ალლაპის ბრძანებებს უყოფმანოდ ასრულებენ, დღისითა და ღამით განუწყვეტლივ ალლაპს ახსენებენ, მორწმუნეთათვის ღმერთს ევედრებიან. ყველა მათვანს სხვადასხვა მოვალეობა აკისრია, მათი ზუსტი რიცხვი მხოლოდ ალლაპმა იცის. ჩვენთვის ცნობილია ოთხი ანგელოზი: ჯებრაილი, მიქაილი, ისრაფილი და მზრაილი.

”და, ალლაპს თაყვანს სცემს მიწამდე თავდასრით (სეჯდეს უძღვნის), რაცა არიან ცათასა შინა და დედამიწას ზედა სულიერთაგანი და ანგელოზებიც (მელაიქებიც) და ისინი როდი ქედმედ-იდურობენ!...“

(სურა ნაპლი-ფუტკარი.  
აიათი 49)

#### ადამიანს, რომელსაც სწამს ანგელოზები, მან

- <sup>a</sup> იცის, რომ არასდროს მარტო არაა. ალლაპი მას მფარველი ანგელოზების მეშვეობით ყოველთვის და ყველგან იცავს.
- <sup>a</sup> იცის, რომ მწერალი ანგელოზები მისთვის (ქირამენ ქაათიბინ) მის ყველა კარგსა და ცუდ საქმეს სწერენ, ამიტომ უფრო ყურადღებით იქცევა.
- <sup>a</sup> იცის, რომ ანგელოზები მისთვის ღმერთს ევედრებიან, ამიტომ თვითონაც მისთვის და ყველა მუსლიმანისთვის ღმერთს ევედრება.

## ლოთუების ფორმის ჩატარება: ჩანთა ჩვენები

”...ალლაჰმა მოავ-  
ლინა შუამავალი  
მახარობლად და  
მაფრთხილებლად და  
მათთან ერთადვე  
გარდმოავლინა  
ჭეშმარიტების წიგნი,  
ადამიანთა შორის  
უთანხმოებათა  
გადასაწყვეტად...“

(სურა ბაყარა-ფური,  
აიათი 213)

წმინდა წიგნები, ისეთი წიგნებია, რომლებიც მოვლენილია ადამიანებისათვის და შეიცავენ ალლაჰის წერილებს, ბრძანებებს და აკრძალვებს. ეს წიგნები ამქვეყნად სიკეთის, სიმართლის, სილამაზის შეცნობის და ცუდისაგან დაფარვის მიზნით ალლაჰის მიერ ადამინებისათვის ბოძებული სწორი გზის მაჩვენებელია. ეს წიგნებია: ოევრათი (თორა), ზებური (ფსალმუნები), ინჯილი (სახარება) და ყურანი. წმინდა წიგნები, რაც განსხვავებულ დროსა და განსხვავებულ ხალხთათვის იყოს გარდმოვლენილი, ყველა ერთ გამოძახილს ისახავს მიზნად: საღი რწმენა, სწორი ქმედება, კარგი ზნეობა. ამ წიგნთაგან ზოგნი გარკვეული სახოგადოებისათვის, ხოლო ბოლო წიგნი ყურანი კი სრულიად კაცობრიობისთვისაა გარდმოვლენილი. ალლაჰის ბოლო წერილი ყურანი, რომელიც დედამიწის დასასრულამდე მოქმედებაში იქნება, ჩვენს საყვარელ მუქამშედ შუამავალს გამოევზავნა. სხვა წიგნთა ორიგინალები აღარ არსებობს. ყურანი (ისეა შემონახული), ერთი ასობგერაც კი არაა შეცვლილი და ქვეყნის დასასრულამდე შეუცვლელ-ად გააგრძელებს არსებობას. დედამიწაზე წიგნთაგან ყველაზე ხშირად ყურანი იკითხება, რა-დგან მისი კითხვაც დგომისმსახურებაა.



ეძიეთ, ალლაჰის მიერ გარდმოვლენილ  
წიგნთაგან ყურანზე ადრე არსებული წიგნები  
რომელ შუამავალს გამოევზანა!?

## ადამიანმა, რომელმაც იწამა წიგნები...

- a** იცის, რომ ალლაჰი ადამიანებს ამქეუფნიურ ცხოვრებაში მარტოდ არ დატოვებს და მათ სწორ გზას უჩვენებს.
- a** ცდილობს, რომ ალლაჰის წერილი გაიგოს და შესრულოს.
- a** ალლაჰის წიგნებს კითხულობს და იცის, რომ რასაც კითხულობს, სულიერ სიმშვიდეს აძლევს და სულს ცუდი ზრახვებისაგან ათავისუფლებს.
- a** იცის, რომ როცა ყურანს აიღებს ხელში, მის მსგავსად მიღიონობით ადამიანი იგივე წიგნს კითხულობს და ამით ერთიანობის, მთლიანობის გრძნობები ძლიერდება.



ყურანი

## შ. ლუამიჩატე მუჰამედი ალ-ფაზი

### თხელი: შუამუჰამედი

სხვადასხვა დროს სწორი გზის მაჩვ-ენებლად გამოგზავნილი წიგნები ადამიანებისათვის იოლად გასაგები და შესასრულებელი რომ ყოფილიყო, ალლაჰმა შუამავლები მოავლინა. მათ ალლაჰის წერილის ახსნის, სწავლებისა და შესრულების მოვალეობა უნაკლოდ შესრულეს. ისინი ცხოვრების ყველა სფეროში სამაგალითონი იყვნენ.

”და არ მოგვივლენია შუამავლი სხვა რამ მიზნით, თუ არა მახარობლად და გას-აფრთხილებლად, ხოლო ვინც ირწმუნა და კეთ-ილი ჰქმნა, არ ექმნეთ მათ შიში და არცა დამწუხრდნენ.“

(სურა საქონელი-ენაამი,  
აიათი 48)

შუამავლებმა მორწმუნე და კეთილისმყოფელი ადამიანებისათვის გადმოსაცემი ლამპზი ჯილდო გვახარეს. მათ ალლაპის ბრძანებების შეუსრულებლობით მოსალოდნელი ცუდი სიმპტომების შესახებაც განსაკუთრებით გაგვაფრთხილეს. შუამავლებს რეპუტაციის გამო უბირატესობა ჰქონდათ მინიჭებული. ალლაპმა ადამიანებს ძალიან ბევრი შუამავალი მოუვლინა, მაგრამ მათგან ყურანში მხოლოდ ოცდახუთი შუამავლის სახელია ნახსენები.

ალლაპის ყველაზე ბოლო წერილის - ყურანის ჩვენამდე მომტანი ბოლო შუამავალი ჩვენი საყვარელი მუკამმედია. ის ალლაპის მიერ მოვლენილ შუამავალთაგან ყველაზე ბოლოს მოვლინებულია კაცობრიობის პატრონიბისა და მოწყალების მისით. ის ყურანის ცხოვრებაში გამტარებული, სამაგალითო ადამიანი იყო.

### ადამიანი, რომელსაც სწამს შუამავლები...

- a** ყველა სფეროში მათგან იღებს მაგალითს.
- a** ცდილობს, რომ შუამავალთა მსგავსად მისაბაძი იყოს.
- a** შუამავალთა ქცევებსა და მოქმედებებს სწავლობს და ცდილობს ისინი ცხოვრებაში გამოიყენოს.
- a** იცის, რომ შუამავლები ყველას მიმართ სამართლიანი იყვნენ და ცდილობს, რომ თვითონაც მათსავით სამართლიანი იყოს.



ისწავლეთ ყურანში მოხსენიებული შუამავლების სახელები, გამოიკვლიერ დღეს ამ სახელთაგან რომლები გამოიყენება.

## ქ. ხეიჭით ფრთხოები

სიცოცხლეცა და სიკვდილიც ალლა-  
ჰმა დააწესა. ყველაფერი, რაც სულიე-  
რია დედამიწაზე, იბადება, ჩნდება, ცხო-  
ვრობს და კვდება. შემოდგომაზე ფოთლ-  
ები იწყებენ გაყვითლებას და ცვენას; გა-  
ზაფხულის დადგომასთან ერთად ხეები  
იწყებენ გამწვანებას, აყვავდებათ და ნა-  
ყოფს იძლევიან. ასეა ადამიანებიც. ერთ  
დღეს ყველა ადამიანი უნდა მოკვდეს,  
მაგრამ სიკვდილი ყველაფრის დასასრუ-  
ლი არაა, ის ახალი, განსხვავებული და  
მარადიული ცხოვრების დასაწყისია.

ისე, როგორც ყველა არსება, სამყარ-  
ოც, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დას-  
რულებადია. სამყაროს დასრულებასა და  
განადგურებას ყიამეთის დღე ჰქვია.

ყიამეთის მოსვლის დრო ალლაპის გა-  
რდა არავინ იცის. ის მოულოდნელად  
მოვა. ყიამეთის შემდგომი პერიოდი საიქ-  
იოს ცხოვრებაა.

”უეჭველად. ღვთ-  
ისმოშიშნი ბალებში და  
წყაროებთან დამკვ-  
იდრდებიან...“

(და, მათ ეტყვიან):

”შედით იქ, მშვიდობითა,  
უსაფრთხონი!“ და,  
აღმოვუსაპავთ ზიზღსა.  
მათსა გულებთასა შინა  
არსებულსა, და  
ძმებადქცეულნი, პირ-  
ისპირ ტახტსარეცლებზე  
მსხდომარენი  
(იგანცხრომებენ). არ  
გაეკარებათ იქ(ში) მათ  
დაღლილობა და  
არცარასოდეს იქიდან არ  
იქნებიან ისინი  
გამოჰვერილნი“.“

(სურა-ჰიდა,  
ათათი 45-48).

შეადგინეთ გამონათქვამები, რომელშიც განკითხვის  
(მაჰშერის) დღე იქნება ნახსენები. იმსჯელეთ ამზანაგებთან  
მათ შესახებ, თუ რა ფორმითაა ისინი გამოყენებული.

ალლაპება მიწიერი ცხოვრება ადამიანთა გამოსაცდელად გააჩინა. ალლაპი მისი ბრძანებების შემსრულებლებს და არაშემსრულებლებსაც საიქიოში სამართლიანად განსჯის. ამქეყნიური ცხოვრება საიქიოს სამზადისია. ჩვენს მიერ გაკეთვებულმა საქმეებმა საიქიო გზა უნდა გაგვინათოს. საიქიო ცხოვრება ყველა ჩვენთაგანის ხელახალი გაცოცხლებისა და სამართლიანად განსჯის დღიდან იწყება. გასამართლების (მაჰმერის) დღეს ყველა ალლაპის წინაშე წარსდგება. ამქეყნად, ვისაც მცირეოდენი სიკეთე ასევე თუნდაც მცირეოდენი სიგლახე გაუკეთებია, იქ ყოველივე ესენი გამოჩნდება.

ის, ვინაც ამქეყნად ალლაპის ბრძანებების შესაბამისად არ იცხოვრა, არ მოინანია და არ ეპატია, დასასჯელად ჯოჯოხეთში წავა. ისინი კი, ვინც ალლაპის ბრძანებების შესაბამისად იცხოვრეს, ნაირ-ნაირი ჯილდოებით, ყოველგვარი ხილითა და სარჩოთი აღსავსე სამოთხეში იცხოვრებენ. მათვის იქ არც მწველი სიცხეა და არც გამყინავი სიცივე. ის, რაც თვალებს ამ ქვეყნად ნანახი აქვს და რაც სულსაც მოესურვება, სამოთხეში ყველაფრით გაუმასპინძლებიან.

### ადამიანი, რომელსაც საიქიო სწამს, მან

- ა იცის, რომ ყველა მისი საქციელი, კარგია თუ ცუდია, აუნაზღაურებელი (განუკითხავი) არ დარჩება.
- ა იცის, რომ სამოთხეში მისთვის გამზადებული, ალლაპისეული ჯილდოების მისაღებად მისი ბრძანებების შესრულება აუცილებელია
- ა იცის, რომ ამქეყნიური ცხოვრება ისეა, როგორც ყანა, საიქიო კი მოსავლის აღების დრო. ამიტომ ამქეყნიური ცხოვრების ყველაზე კარგად გამოყენებას ცდილობს.
- ა იცის, რომ სუსტის მიერ ძლიერისაგან ასაღების აღების დრო უეჭველად დადგება; ამიტომ უსამართლოდ არავის არ ექცევა.



სამოთხეში ალლაპები რა სახის სარჩოები გინდათ რომ მოგართვას?


## ნ. ლითანების უშვილი ჭანონები: ტურქეთი და განკვეთი

ალლაპმა სამყაროს გაჩენამდე იცოდა თუ რა, და, არა არს როდის და რანაირად მოხდებოდა. იმიტომ, რომ სამყაროს გამჩენი და მასში ყველაფრის მტკიცედ განმსაზღვრელი თვითონაა. ალლაპმა ადამიანი გააჩინა და მოქმედებისა და ქცევის თავისუფლება მისცა. ადამიანისათვის ეს გამოცდაა, სწორ გზას აირჩევს თუ არასწორს. ალლაპმა იცის, ადამიანი საკუთარ ქცევაზე რა შედეგს მიიღებს. ალლაპმის მიერ ყველაფერზე ზომისა და რიგის წინასწარ განსაზღვრას, ადამიანების შესახებ ყველაფრის ცოდნასა და მათი ცხოვრების წარმართვას ბედისწერა ჰქვია, ხოლო ამ ცოდნის განხორციელებას და სხვადასხვა მოვლენების მოხდენას – განგება.

(სურა ჰიჯრი,  
აიათი 21)

ადამიანს, რომელსაც სწამს  
ბედისწერა...

- ა სჯერა, რომ ალლაპმა ყველაფერი იცის და მის გარეშე ერთი ფოთოლიც კი არ გაინძრევა.
- ა ყურადღებას აქცევს ალლაპმის მიერ სამყაროში ჩამოყალიბებულ წონასწორობას და ცდილობს არ დაარღვიოს იგი.
- ა იცის, რომ ალლაპმა ყველაფერი ერთიანი სისტემით გააჩინა და როგორც ამ სისტემის ერთი ნაწილი, შემსვედრი სიძნელეების წინაშე ბრძოლისას ალლაპმა მიენდობა.



## ჩემთვის ალლაპორ!

**რაპშანი ხარ;** განურჩევლად ყველასი მოწყალე ხარ, ჩვენ შეგვიწყალე.  
**რაპიში ხარ;** შენ მოყვასთა სიყვარულით შემძიობელი ხარ, შენს  
 საყვარელთა რიგებში მიგვიღე  
**ფუდდუსი ხარ;** ყოველგვარ ნაკლოვანებათაგან შორს ხარ, სიბილწისაგ-  
 ან გავეწმინდე  
**სელიში ხარ;** ყოველგვარი საფრთხისაგან დამცავი ხარ, შძისაგან გად-  
 აგვარჩინე  
**მუმინი ხარ;** გულებზე ნდობის მომფენი ხარ, ჩვენი შენდამი ნდობა  
 განამტკრცე  
**აზიზი ხარ;** უსარულო და უმაღლესი დირსების პატრონი ხარ, ჩვენ  
 უღირსს ნუ გაგხვდი  
**მუთექებბირი ხარ;** ყველაფერზე დიდი ხარ, მედიდურობისაგან დაგვიცავი  
 ბაარი ხარ; ყველაფერს ერთმანეთის შესაფერს გააჩენ, ჩვენ ამ თანხმობას  
 ნუ ჩამოგვაშორებ  
**მუსავერი ხარ;** ყველა არსებას ლამზ ფორმას აძლევ, ჩვენ ამ სილამა-  
 ზის შენარჩუნების ძალა მოგვეც  
**ლაფფარი ხარ;** ძალიან, ძალიან, მპატიებული ხარ, ჩვენ შენი პატიების  
 გარეშე ნუ დაგვტოვებ.  
**ვეპპაბი ხარ;** საჩუქრების უხვად მომცემი ხარ, ჩვენ შენი საჩუქრებით  
 გაგვახარე  
**რეზსაყი ხარ;** ყველაზე სარჩოს მიმცემი ხარ, ჩვენს სუვერას უწყალობოდ  
 ნუ დატოვებ  
**ფეთთაზი ხარ;** ყველაფრის ბოლომდე გამდები ხარ, ცხვირწინ კარს ნუ  
 დაგვიკტავ  
**ალიში ხარ;** ყველაფრის სრულყლფილად მცოდნე ხარ, ჩვენ უცოდინ-  
 რობისაგან დაგვიფარე  
**ააბიდი ხარ;** სურვილისამებრ შემვიწროებელი ხარ, ჩვენ ნუ შეგვავიწ-  
 როვებ  
**ბასითი ხარ;** სურვილისამებრ გამფართოვებელი ხარ, ჩვენ თავისუფლად  
 მოგვაოქმევნე სული  
**ყაბიდი ხარ;** სურვილისამებრ დამმდაბლებელი ხარ, ჩვენ ნუ  
 დაგვამცირებ  
**რაფი ხარ;** სურვილისამებრ ამმაღლებელი ხარ, ჩვენ  
 აგვამაღლე  
**მუზი ხარ;** პატივისა და ღირსების მომცემი ხარ, ჩვენ ღირსება მოგვეც  
**მუზილი ხარ;** დამმდაბლებელი და არარობად მქცევი ხარ, ჩვენ არ დაგვ-  
 ამდაბლო

**სემიო ხარ;** ფარული, ღაა, ყველანაირი სიტყვის მსმენელი ხარ, ჩვენ შენზე შეხმანებისაგან წუ დაგვაშორებ

**ბასირი ხარ;** ყველაფერს მთელი სიფაქიზით ხედავ, ჩვენ სიფაქიზის დასანახი თვალები მოგვეც

**აადლი ხარ;** ნამდვილი სიმართლის გამტარუბელი ხარ, ჩვენ წვალებას გადაგვარჩინე

**ლატიფი ხარ;** სიკეთე და დისულოვნება უხვად გაქქს, ჩვენ სიკეთის ზღვარზე გვატარე

**ჰაბირი ხარ;** ყველა საქმის შესახებ ინფორმირებული ხარ, ჩვენ ჩვენს შესახებ არა-ინფორმირებული წუ დაგვტოვებ

**ჰალიმი ხარ;** შენს გაჩენილებზე ლმობიერად მომპყრობი ხარ, ჩვენ ლმობიერად მომყრობა გვასწავლე

**აზიმი ხარ;** სიდიდისა და ბრწყინვალების ჰატრონი ხარ, ჩვენ წუ დაგვამცირებ დაფური ხარ; შენს მონა-მორჩილებზე ცოდვების მპატიებელი ხარ, ჩვენი ცოდვები შეგვიძლე

**შექური ხარ;** მადლობების მიმღები ხარ, მადლიერების თქმის შესაძლებლობა მოგვეც

**ჰაფიზი ხარ;** ყველაფრის დამცველი ხარ, ჩვენ სიგლახებისაგან დაგვიცავი

**ჰასიმი ხარ;** ყველაფერზე ჰასუსის მომთხოვნი ხარ, ჩვენ ისეთ მდგომარეობაში წუ ჩაგვაგდებ, რომ ჰასუსი ვერ გაგცეო

**ქერიმი ხარ;** სიკეთისა და პატივის უხვად გამცემი ხარ, ჩვენ გულუხვობა გვასწავლე

**რაქიბი ხარ;** ყველა არსების მეთვალყურე ხარ, წუ დაივიწყებ ჩვენზე თვალის დენებას

**მუჯდი ხარ;** თხოვნა ვედრების მიმღები ხარ, ჩვენს ვედრებას უპასუხოდ წუ დატოვებ

**ჰაქიმი ხარ;** ყველაფრის თავის ადგილას გამჭეობელი ხარ, ჩვენ უსარგებლო საქმებს ჩამოგვაშორე

**ველუდი ხარ;** შენი მონა-მორჩილები ძალან გიყვარს, ჩვენ სიყვარული გვასწავლე

**ბაისი ხარ;** მკვდრების გამცოცხლებელი ხარ, ჩვენ ბედნიერად გაგვაცოცხლე შექიდი ხარ; ყველაფრის მოწმე ხარ, ჩვენგან შენდამი სიყვარულის მოწმე იყავი

**ჰაყყი ხარ;** ერთად ერთი ჰეშმარიტება შენ ხარ, ჩვენ ჰეშმარიტება შთაგვაგონე ვექილი ხარ; შენ ხარ ის, ვისაც მიენდობიან, ჩვენ შენზე მინდობას წუ დაგვავიწყებ

**ყავი ხარ;** ძალის ჰატრონი ხარ, ჩვენ შენი სიყვარულით გაგვაძლიერე მეთინი ხარ; შეურყველი ხარ, ჩვენ ჩვენი სისუსტის ამარა წუ მიგვატოვებ ველი ხარ; მორწმენეთა მოყვარე ხარ, ჩვენ მოყვარედ მიგვიღე ჰამიდი ხარ; ქების ღირსი ხარ, ჩვენ შენდამი ქების სიამოვნება მოგვანიჭე

# ლვისმახურება

## ହୋଇ ସାରତ୍ତବାନଗାମୀ ବସନ୍ତବ୍ଲଟ୍



## შეისწავლე, გამოიკვლიე, იფიქრე



”სთქვი (მუპამმედ):  
უკველად, ჩემი  
ლოცვა და ჩემი  
წირვანი, ჩემი  
სიცოცხლე და  
ჩემი სიკვდილი  
სამყაროა ღმერთ-  
ის-ალლაპისთვისა.“

(სურა ენამი-საქონელი.  
აიათი 162)

1. ქელიმები შეპადეთი, ნამაზი (ლოცვა) მარხვა, ზექათი და პაჯი უფროსებს შეეკითხეთ, ამ სიტყვათა მნიშვნელობების ან ლოცვების შესახებ ლექსი, მოთხოვთ ან გამოცანა იციან თუ არა. რასაც ისწავლით, რვეულში ჩაწერეთ.
  2. ამ კარის მეცადინეობის პერიოდში ამხანაგებოან შეთანხმებით ოთორ კვირა თითოეულ საკითხს დაუთმეთ: ჯამებისა და სსსულიერო პირთა კვირული, გაჭირვებულთა დახმარების კვირული და სხვა.
  3. ალლაპის სიყვარულის მოპოვების მიზნით გაკვთებული ყველა საქმე ღვთისმსახურებაა. ყოველდღიური ცხოვრების მაგალითებით ამ საკითხზე ამხანაგებოან ისაუბროთ.
  4. რამზნის თვე რატომაა მნიშვნელოვანი და რატომაა ყადირის ღამე ათას თვეზე მეტად ხეირიანი.
  5. ბევრი იყითხეთ წიგნები რელიგიის კულტურისა და ბავშვთა აღზრდის შესახებ. ქვემოთ მოცემული დიანეთის საქმეთა გამომცემლობის წიგნებიდან ღვთისმსახურების შესახებ არსებული შემდეგი თავები წაიკითხეთ:
    - ა. ჯიბის ილმიპალი, მექმეთ სოიმენი
    - ბ. რამზანი და მარხვა, სეიფეთინ იაზიჯი
    - გ. აკრძალულები და დიდი ცოდვები ისლამის რელიგიაში. ლუთფი შენთურქი

ღვთისმსახურება ღმერთზე გულითადად მიმხრობა, მის წინაშე ქედის მოხრა და მასზე მიყოლაა. ღვთისმსახურება გამჩენის სიყვარულის შედევრი და მხოლოდ ალლაპისათვის კეთდება. ყველა ღვთისმსახურებაში ღმერთის რწმენაა გამოხატული. ადამიანი გამჩენის სიყვარულს როგორ გამოავლენს? ან თუ იცის ვინმემ, რით იქნება იგი კმაყოფილი?

ალლაპმა ყურანში ძვირფას შუამავალს ასე უბრძანა: უთხარი (მუჰამ्मედ): თუ ალლაპი გიყვარო, მაშინ მოყვევით მე, რომ ალლაპმა შეგიყვაროს თქვენ და შეგინდოოთ თქვენვე ცოდვები, ალლაპი შემნდობი და შემწყნაროებელია.“ სურა ალი იმრანი, აიათი 31) ესე იგი, ღვთისმსახურება მხოლოდ ჩვენს ძვირფას შუამავალზე დაჯერებით, მის გზაზე გაყოლითაა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ყველა ღვთისმსახურების არი, ალლაპია და ძვირფას შუამავალზე დაჯერება და მათზე დამოკიდებულების გამოხატვაა, რომელიც ქელიმეთ შეჰადეთშია ჩამოყალიბებული:

**ქელიმეთი შეჰადეთი: მჯერა, რომ ალლაპის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს და მოწმე ვარ, რომ მუჰამ्मედი მისი მსახური და შუამავალია.**

რწმენიდან მომდინარე ადამიანის დადებითი და სასარგებლო ყველა საქმე ღვთისმსახურებად ითვლება. ალლაპის გზაზე გარჯა, სიკეთეზე, წახალისება, ბოროტებაზე წინ ალდგომა, ყურანის კითხვა ნამაზი, მარხვა, ზექათი და ასე შემდეგ ისლამის ძირითადი ღვთისმსახურებებია. ამ ღვთისმსახურებათა დროს, ადგილის, შესრულების ფორმასა და რაოდენობას ჩვენი სარწმუნოება გვასწავლის. ჭკვიან, მოწიფულ და საჭირო პირობების მქონე ყველა მუსლიმანს ამ ღვთისმსახურებათა შესრულება ევალება. ამ თვისებების მქონე ადამიანს მუქელლეფი (პასუხისმგებელი) ჰქვია.



**დათვალეთ ერთი დღის განმავლობაში  
ნალოცი ხუთი ნამაზის ლოცვისას  
სიტყვა ”ალლაჰ ექ्�బერ“-ს რამდენჯერ ვიძეორებთ.  
უფროსებთან ერთად იმსჯელეთ ამ სიტყვის  
მნიშვნელობასა და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში  
მისი აღვიღის შესახებ..**



### ფარმი (სავალდებულო)

მოქმედებები, რომელთა შესრულებასაც ჩვენი სარწმუნოება აუცილებლად მოითხოვს და ყველა მოწიფელის მხრიდან აუცილებლად გასაკეთებელია, შეუსრულებლობა კი ცოდვად ითვლება. მაგალითად ნამაზის ლოცვა, სამართლიანად მოქცევა. სიტყვის არ გატეხა.

### ჰარამი (აკრძალული)

მოქმედებები, რომლებსაც ჩვენი სარწმუნოება მთელი სიმკაცრით კრძალავს, ის რაც მუსლიმანმა არ უნდა გააკეთოს, თუ გააგუთებს ცოდვის ჩაიდგნს. როგორიცაა მაგალითად: ტყეილის ოქმა, ჭორაობა, ქურდობა და სხვა.

### სუნნეთი (შუამავლის ნამოქმედარი)

მოქმედებები, რომლებსაც ჩვენი შუამავალი აკეთებდა და რომელთა გაკეთებასაც ურჩევდა ადამიანებს, როგორიცაა მაგალითად: ადამიანთა მიმართ მომღიმარი სახით ყოფნა. ქბილების მოვლა, კონტად ჩაცმა და სხვა.

### მექრუჰი (მოუწონარი)

მოქმედებები, რომლებიც ჩვენს სარწმუნოებაში იკრძალება, მაგრამ მისი აკრძალულობა მტკიცე სამტკიცეებს არ ეყრდნობა. როგორიცაა მაგალითად: ლოცვისას სხვა რამეზე ეურადღების მიქცევა და სხვა.

### მუჰაბი

მოქმედებები, რომელთა გაკეთების მხრივ მუსლიმანებს ძლიამი არჩევანს უტოვებს. როგორიცაა მაგალითად: ძილი, სეირნობა, ზომიერებით ვაჭრობა და სხვა.

## კარი პირველი

### ღმერთის წინაშე დღეში ტურჭებ ლოცვა: ნამაზი

ისლამის ძირითად პირობათაგან ერთ-ერთი ნამაზის ლოცვაა — ღმერთის გახსენება და მასზე ვედრების მიზნით გარკვეულ დროებში, გარკვეული რიტუალით დღეში ხუთჯერ შესასრულებებლი ფარდია. ნამაზი ადამიანს სულიერად ღმერთან აამაღლებს. იგი რწმენის შემდეგ სარწმუნოების ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძანებაა.

ნამაზის დროული შესრულება, ალლაპის ყველაზე საყვარელი ქმედებაა. ისლამის წინა რელიგიებშიც ლოცვა ფარდი იყო. რაიმე გამოუგალი მიზეზის გარეშე ლოცვის შეუსრულებლობა დიდი ცოდვაა. ნამაზის ლოცვა სავალდებულოა მაშინაც, როცა წყალი არ მოიპოვება (თეიემუმით), ხოლო ავადმყოფობისას მჯდომარედ ან მწოლიარედ ლოცვაც შეიძლება.

”უეჭველად, მე ვარ ალლაპი, არ არსებობს ღმერთი გარდა ჩემისა. ამიტომ მეთაყვანე მე და შეასრულე ნამაზი ჩი ჩემი ხსენებისათვის“. (სურა ტა ჰა, აიათი 14)



ლოცვა, რწმენის საძირკველი,  
მორწმუნის ამაღლებაა,  
ჩვენი თვალის სინათლეა,  
სამოთხის გასაღებია.





## ნამაზის ფარმები (აუცილებლობები)

ნამჩის 12 ფარიდ აქვს. 6 ლოცვის დაწყებამდე კეთდება, მათ ლოცვის გარე პირობები ჰქვია. 6 კი ლოცვის შიგნით ხორციელდება, მათ ლოცვის შიდა პირობები ჰქვია.

## I. ნამაზის პირობები

ლოცვა ადამიანსა და ალლაჟს შორის ერთგვარი შეხვედრაა. ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა მოუმზადებლად არ შეიძლება. ლოცვისაოვის მოსამზადებელი პირობებია:

1. ჰადესისაგან თაპარეთი - ანუ სულიერი სიბიძურისაგან გასუფთავება. ადამიანი გამჩენს წინაშე ყოველგვარი უარყოფითისაგან განწმენდილი და გასუფთავებული უნდა წარსდგეს, აბდესი და ღუსლი, ლოცვამდე გასუფთავებას ნიშნავს.
  2. ნეჯასეთისაგან თაპარეთი - სალოცავი ადგილი და მღლოცველის ტანსაცმელი, რომელიც მას აცვია, სუფთა უნდა იყოს. ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბრძანებს: "სისუფთავე ლოცვის გასაღებია".
  3. სეთრი ავრეთი - სასირცხო ადგილების დაფარვას ჰქვია. ნამაზის მღლოცველმა ლოცვის დროს სხეულის ზოგიერთი ადგილი უნდა დაიფაროს.
  4. ისთიყბალი ყიბლე - ქაბეს მიმართულებით დგომას ნიშნავს, გულით ალლაჰისაკენ მიაყრობას გამოხატავს.
  5. გაყით - ყველა ლოცვას თავისი დრო აქტს და იმ დროს ილოცება. ჩაძინების ან დაკიტყების შემთხვევაში თავის დროზე შეუსრულებელი ნამაზის ლოცვასაც თავისი აქტს.
  6. (ნიეთი) განზრახვა - ლოცვა  
განსაზღვრული მოქმედების  
მხოლოდ ფიზიკური შესრულება არაა. იგი  
ამ მოქმედების იგივე ლოცვის,  
ალლაჰისადმი ვალდებულების მიზნით  
სულიერი განწყობის შექმნაა, რასაც  
თანახლავს სხვადასხვა შინაარსის  
ტექსტების წარმოთქმა.



(მუკამმედ) წაიკითხე წიგნი (ყურანი),  
რომელიც შთაგევონა და შეასრულე ლოცვა  
- ნამაზი. უეჭველად ლოცვა - ნამაზი (ადამი-  
ანს) უნამუსობასა და სიგლაპეს დააცილებს  
უთუოდ, ალლაპის სსენება ყველაზე უდიდე-  
სია და ალლაპიმა უწყის რასაც სჩადიხართ“  
(სურა ანქებუთ-ობობა, აიათი 45)



## II. ლოცვის შიდა სავალდებულო მირობები

ადამიანი, რომელმაც ლოცვის გარე სავალდებულო პირობები შეასრულა, უკვე შეუძლია ნამაზი იღლოცოს. ლოცვის დროსაც არსებობს აუცილებელი შესასრულებელი პირობები, რომელსაც ნამაზის შიდა სავალდებულო პირობები ჰქვია. ესენია:

1. იჯოთთაპ (საწყისი) ოქბირი - ყველა ლოცვა აუცილებლად ალლაპის დიდების გამომზატველი სიტყვა, ”ალლაპუ ექ्खერ“-ის თქმით იწყება.
2. ყიამი (დგომა) - ვისაც ძალა შესწევს, ლოცვა ფეხზე დამომით უნდა შეასრულოს.
3. ყირათი (კითხვა) - ყურანის აიათების კითხვა
4. რუქული (წელში მოხრა) - ხელების მუხლებზე დაწყობით ალლაპის წინაშე წელში მოხრა.
5. სეჯდე-ალლაპის წინაშე, შუბლით, ცხვირით, ორივე მუხლით, ხელებით, ფეხის თითებით ძირს შეხება
6. ყადეი აზირე (ბოლო დაჯდომა)-ლოცვის ბოლოს ეთეპიათის, ვედრების (დუის) კითხვის დამთავრებამდე მოცდაა.

რადგანაც სარწმუნოების არსი ერთდმერთიანობაში მდგომარეობს. ლოცვის ჯგუფურად (ჯამათით) შესრულება უკეთესია, ამისთან ერთად ისეთი ლოცვებიც არსებობს, რომელთა შესრულება ჯგუფურადაა აუცილებელი. ასეთებია: კვირაში ერთხელ ჯუმის (პარასკევის) ლოცვა და წელიწადში ორჯერ ბაირამის ლოცვა.

**მუკამმედ შუამავ-  
ალმა ერთ დღეს  
ამხანაგებს უთხრა:  
”თქვენს კარებთან  
მდინარე, რომ  
მიედინებოდეს და  
დღეში ხუთჯერ  
რომ დაიბანოთ,  
რაიმე ჭუჭყი  
დაგრჩებათო?“ ”  
არა“- ჯუკასუხეს  
ამხანაგებმა. მაშინ  
შუამავალმა  
ბრძანა:”აი ხუთი  
დროის ნამაზის  
ლოცვაც ასეა.  
ალლაპი ადამიანს  
ნამაზის ლოცვით  
ცოდვებისაგან  
ათავისუფლებს“**

(წმინდა ჰადისი).

### განბანვის ფარძები


1. პირის ღრუს გამობანა
2. ცხვირის ღრუს გამობანა
3. მთელი სხულის დაბანა

### აბდესის ფარძები

1. ხელებისა და პირისახის დაბანა
2. მკლავების დაბანა იდაყვების ჩათვლით
3. თავის, სულ ცოტა ერთი მეოთხედი ნაწილის დასველება - მესპი
4. ფეხების დაბანა კოჭების ჩათვლით.

### თეიემუმის ფარძები

1. განზრახვა -ნიერის გაკეთება
2. სუფთა მიწაწერებით ხელებით ორჯერ შეხება, პირველი შეხებისას სახეზე ხელების ჩამოსმა, მეორე შეხებისას მკლავებზე ხელის მოსმა (მესპის გაკეთება).



← გამოიკვლიერ ქვემოთ  
მოცემული მეჩეთის  
გეგმა. მეჩეთის  
ხელმძღვანელის  
მიერ გეგმაზე ციფრებით  
აღნიშნული ნაწილების  
სახელები შეიძწავლეთ  
და დაწერეთ.

## ადამიანი, რომელიც ასრულებს ლოცვას

- a** ყველა ბინძური და ცუდი მოქმედებისაგან დაცულია. ალლაპის სიღიადის ხშირად წსენებით მისდამი რწმენას იძლიერებს.
- a** ყოველთვის ღმერთს იხსენებს, მთელ დღეს ყველა მოქმედებით ცდილობს ალლაპის კმაყოფილება მოიპოვოს.
- a** აბდესს აიღებს და თავის სისუფთავეს მიაქცევს ყურადღებას, სუფთად ყოფნას ეჩვევა.
- a** გარდა ასმისა, აბდესი მას სულიერ სიმტკიცეს ჰმატებს.
- a** დაწესებულ დროებში ნამაზის ლოცვით საცხოვრებელი დროის დაგეგმვას სწავლობს.
- a** გარკვეული დროის მონაკვეთებში ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საქმეს, ფაციფუცსა და შფოთს განშორდება და ღმერთთან დაკავშირების ბედნიერებას ეზიარება.
- a** ემორჩილება დიდი ალაპის ბრძანებას: ”ჰეი, მორწმუნენო! ეძიეთ დახმარება (ალლაპისა) მოთმინებაში და ლოცვაში, ის უეჭველად მომთმენებთანაა“. (სურა ფური ბაყარა, აიათი 153) ნამაზის ლოცვით გაინათებს სულს და გაიძლიერებს რწმენას.
- a** ეძლევა საშუალება, დრო და ადგილი, რათა გამოხატოს ალლაპისადმი მადლიერება სხეულით, ენით, გონებით, გულით.

## კარი მეორე

ფულ ჟაჭვითა ჩამომისტება  
მცხვლეობული: ქახვა

”ჰეი, მორწმუნენო!  
თქვენ დაგვა-  
ალდებულათ  
მარხვა, როგორც  
დავალდებუ-  
ლა ეს თქვენს  
წინამორბედთ.  
იმედია, თქვენ  
ღვთის მოშიშნი  
იქნებით.“

(სურა ფური-  
ბაყარა აიათი 183)

რამაზანის თვის მარხვა, ისლამის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველთაგანია. მარხვა არის მუს-ლიმანის მიერ დილის ცისკრიდან საღამომდე შე-გნებულად ჭამისა და სმისაგან თავშეკავება, სქესობრივი კავშირის გამორიცხვა. მარხვა ალ-ლაპის კამაყოფილების მოპოვების მიზნით უნდა შესრულდეს.

ადამიანმა შესაძლებელია მგზავრობისა და ავადმყოფობის დროს არ იმარხოს, მაგრამ როცა ამგვარი მდგომარეობა დასრულდება, გამოტოვებული მარხვა უნდა აანაზღაუროს, ვისაც აქვს ისეთი შეუწყვეტელი ავადმყოფობა, რომელიც მარხვაში ხელს უშლის, ის ყოველი უმარხავი დღის სანაცვლოდ ერთ გამოსასყიდს - ფიდიეს გასცემს, ის, ვინც არ მარხულობს და მოერიდება ჭამისა და სმას, სხვა მარხულთა თანდასწრებით, ეს იქნება მის მიერ მარხულობისა და რამაზნის თვისადმი პატივისცემა. საღამოს სერობის (იფთრის) დრომდე შეგნებულად რაიმეს ჭამა, სმა და სქესობრივი კავშირი მარხვას გატეხს.



რას ნიშნავს მარხვა, მარხვის ყოველდღიური დასრულება, მარხვის გატეხა,  
მონახეთ ლექსიკონებში, ჰერითეთ უფროსებს და  
ისტავლეთ მათი მნიშვნელობები.

**იმსაქი:** მარხვის დაწყების დრო. განთიადამდე ცოტათი ადრე. დილის ნამაჩის დროის დასაწყისი.

**იფთარი:** მარხვის ყოველდღიური დამთავრების დრო, მზის ჩასვლისა და საღამოს ნამაჩის დროის დასაწყისი.

**ფაზა:** რამპინის თვეში მგზავრობის ან ავადმყოფობის გამო მარხვის შეუსრულებლობის შემდეგ, ხელსაყრელ დროს, გამოტოვებული თითოეული დღისათვის ერთი დღის მარხვით ანაზღაურება.

**ფიდი:** პიროვნების მიერ თავის დროზე გამოტოვებული, შემდეგში კი საპატიო მიზეზის გამო აუნაზღაურებელი ერთი დღის მარხვის სანაცვლოდ დარიბზე იმდენი საჭმლის საფასურის მიცემა, რამდენსაც ერთ დღეში თავად ჭამს, ან ერთი ღარიბის ერთი დღით დაპურება..

### ადამიანი, ოომელიც მარხულობს

- a განსაკუთრებული ჯილდოს მიღების უფლებას მოიპოვებს. მუპამმედ შუამავალი გვამცნობს ალლაპის ბრძანებას: "შარხვა ჩემთვისაა, მის საზღაურს მე გავცემ" (წმინდა ჰადისი).
- a თავისივე ნებით აიღებს ხელს თავის ცუდ სურვილებზე და თავდაჭერილობას ისწავლის.
- a შიმშილითა და წყერილით გამოწვეული სიძნელის განცდით გაიძლიერებს ამტანობასა და მომტნებას. მუპამმედ შუამავალი ბრძანებს: "შარხვა მოთმინების ნახევარია" (წმინდა ჰადისი).
- a თავის უსაჩლვრო სურვილებსა და ვწებებს დაიოგებს, ადამიანთა შორის უსიამოვნების მომტან ზღვარგადასულ საქციელს დათმობს.
- a ენას უცენზურო და უხამსი სიტყვებისაგან დაიცავს. მუპამმედ შუამავალი ბრძანებს: "თუ კი ვინმე კანკლაობას ან ჩხუბს დაგიწყებთ, უთხარით, მარხული გარო" (წმინდა ჰადისი)
- a მასზე უფრო გაჭირვებაში მყოფთა მდგომარეობას მიხვდება და მათ დასახმარებლად ყველა ღონეს იმარს.
- a იცის, რომ მარხვით, რწმენითა და სამაგიეროს მხოლოდ ალლაპისაგან ლოდინით, წარსულში ჩადენილი ცოდვები ეპატიება და სიცოცხლის დარჩენილ დროს წმინდად გატარებას შეუძღვება, ცოდვებისა და სიგლანეებისაგან შორს დადგება.
- a დარწმუნდება, რომ თერთმეტი თვის განმავლობაში ყოველდღიური ცხოვრების რიტმის შეცვლა შეუძლია. ამგვარად, თვითონაც მიხვდება, რომ სიკეთისა და სიღამჩისაკენ შემობრუნება შესაძლებელია.

### 25 დეკემბერი,


დღეს ჩვენს ოჯახში მხიარულებაა. დედამ სამზარეულოში საქმეები მოათავა და საჩქაროდ საყიდლებზე გავიდა. ბაბუა ბების ყავის მოღულებას თხოვს. ბებია მას აფრთხილებს. ბაბუა ამბობს: ”ნუ მსაყველურობ. მთელი ..... ოვის განმავლობაში მე შენ ყავის აღარ მოგთხოვ“. ბაბუა ყავის გარეშე ვერ გაძლებს, ვნახოთ თავის სიტყვას როგორ შეასრულებს. დღეს პირველი ..... ნამახი უნდა შესრულდეს. პირველ ..... უნდა ავდეთ.

დედას ვუთხარი, რომ წლეულს რამაზანში თავიდან ბოლომდე ..... ვიმარხულებდი, ძალიან გაუხარდა. ვახშმობის შემდეგ აბდესი ავიდეთ და ჯამეში წავედით. ჯამე ხალხით იყო სავსე. ლოცვის შემდეგ ჯამიდან გამომსვლელ ადამიანებს ვუცქირე და ენთუზიაზმით აღსავსე ზღვა ხალხი რომ ვნახე, ღმერთისადმი მაღლიერება გამოვთქვი.

### 26 დეკემბერი

სკოლაში დამავიწყდა, რომ მარხული ვიყავი და წყალი დაგლიე. ბებიამ ამბისნა, რომ ამით მარხვა არ გატეხილა, რადგან ეს შეგნებულად არ გამიკეთებია და მითხრა: ”შენ ალლაჟს უყვარხარ. ნახე, როგორ დაგეხმარა წყურვილის მოკვლაში. ”შეც მიყვარს ალლაჟი“-ვუპასუხე მე. როცა მომშივდა, ბაბუამ მირჩა, რაიმეთი გავრთობილიყავი. ჩემს მიერ ნახულ გასართობში თვითონაც ჩავითრიე. ერთად ამოგხსენით გზეთში გამოქვენებული მარხვის კროსვორდი. მე კითხვები წავიკითხე. ბაბუამ პასუხები გასცა. უჰ! რამდენი რამ იცის ბაბუქემბა.

დედამ რამაზანისათვის განსაკუთრებული რეცეპტით ტკბილეული დაამზადა. როცა ტკბილეულიანი თევზი წინ მივიჩინე, ბაბუამ მითხრა: ” ..... სუფრა ყველაზე საუკეთესო მომენტია იმისათვის, რომ ადამიანმა მოთმინება და ზრდილობა ასწავლის საკუთარ თავს.“ და თავზე სელი გადამისვა. ..... კითხვამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი. დრო ძლიან ნელა გადიოდა. ..... ხმა გაისმა ”ღმერთო ჩემო, რა კარგია ეს ეზნის ხმა“ -ვთქვი მე. ყველამ გაიღიმა.



## კარი მესამე

### 1. ელეონორის ძირისტული თემა მართვის და მოვლაში: გერმანია

ისლამის ძირითადი საფუძვლებიდან ერთ-ერთი ზექ-მიიღე მათი ათია. ზექათი ქონებით გაწეული ღვთისმსახურებაა. ზე-ქონებიდან ქათი ნიშნავს, რომ პირადი საჭიროებების დაკმაყოფი-სამოწყალო - ლების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში შენახული ზექათი, რათა გარკვეული რაოდენობის ქონებიდან გარკვეული ნაწილი (ძირითადად ორმოციდან ერთი) წელიწადში ერთ-ხელ გაჭირვებულებს უნდა მიეცეს. ზექათი, ყურანში თითქმის ყველგან ნამჭთან ერთადაა ნახსენები. ესე განამრთელდე იგი, ზექათმა მუსლიმანის ცხოვრებაში ნამჭის მსგავ-და დალოცე სად მასიური ადგილი უნდა დაიჭიროს: ”ალლაჰმა მე ისინი... სიცოცხლის მანძილზე ლოცვა და ზექათი მიბრძანა“ (აალაფი - ნადავ-ლი, აიათი 103)

ზექათი არის, არა მდიდრის წყალობა დარიბის მიმართ, არამედ დარიბის წილი მდიდრის ქონებიდან. ”მდიდრის ქონებაში წილი აქვს დახმარების მთხოვნელსა და უძლურ-უქონელს“ (სურა ზარიათი, აიათი 19). მდიდარმა ადამიანმა ზექათის მიცემისას უნდა ეცადოს, რომლებიც რომ ზექათის ამღებს გული არ ატკინოს, რადგან სიკეთის გაკეთება და შემდეგ დაყვედრება სიკეთის ფუჭ-ად ჩავლის მიზეზი გახდება, შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს, რომ ზექათის გადახდით ქონება კლებულობს, მაგრამ ქონება რომლის ზექათიც გადახდილია, ალლაჰის მოცემული ბარაქათი გამრავლდება. ”შაგალითი იმათი, ვინც თავიანთ ქონებას ალლაჰის გზაზე ხარჯ-ავენ, ჰერც მაგალითს მარცვლისას, რომელიც შვიდი თავთავით აღმოაცენა და თითოეულ იმ თავთავში ასი მარცვალია. ალლაჰი უმრავლებს იმას, ვისთვისაც ჰერცს. ალლაჰი ყოვლისმომცველი და მცოდნეა.“ (სურა მორწმუნენი, აიათი 1-4)

**ზექათის თვალსაზრისით  
შეფასეთ ქვემოთ მოცემული  
ინუს ემრეს ღერძი და თქვენი  
შეხედულებები ამხანაგებს  
გაუზიარეთ.**

ქონების მეპატრონე, სიმდიდრ-  
ის მეპატრონე, აბა, მთხარ სად  
არის პირველი მეპატრონე?  
სიყალბეა ქონებაც და სიყალბეა  
სიმდიდრეც მიდი აბა ცოტა  
ხნით, შენც თავი შეიქცი.

### ადამიანი, რომელიც ზექათს იხდის

